

22/01/2024



MES 7 24 0000047979

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 29. 12. 2023

სხდომის დაწყების დრო: 13:18 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:11 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² -ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;

10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
11. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
17. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

სახელი, გვარი	სტატუსი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სალომე დუნდუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	I
2	გუგული მალრაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	რევაზ ჯორბენაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	თეონა მატარაძე		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	I
5	ნინო დურგლიშვილი		პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი	I
6	თამარ დოღბაია			

			ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
7	მარეხ დევიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	I
8	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
9	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	I
10	ყარამან ქუთათელაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	თსსა რექტორი	II, III
11	მეგი წითლიძე		სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	II, III
12	თამარ მინაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
13	ლევან მუზაშვილი		ქანდაკების პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
14	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
15	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	IV
16	ნინო იმნაძე		სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	თინათინ ქაროსანიძე	I

2	თამთა ცხოვრებაძე	I
3	ანა მიხელიძე	I
4	თამარ ჩხეიძე	II, III
5	თამთა თურმანიძე	II, III
6	ლევან ხარაზიშვილი	II
7	სოსო გაზდელიანი	II, III
8	ანი ქვათაძე	II, III
9	ია ნაცვლიშვილი	IV
10	ნინო ჭოგოშვილი	IV
11	დიმიტრი ცანავა	IV

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 13:18 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კარედიტაციის საკითხის განხილვა ;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ საბაკალავრო, „ფერწერის“ სამაგისტრო, „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების სამაგისტრო და „თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "არქიტექტურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

"კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კარედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ საბაკალავრო, „ფერწერის“ სამაგისტრო, „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების სამაგისტრო და „თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "არქიტექტურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონფლიქტოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21/01/2022, № 50586
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კონფლიქტების ანალიზი და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	კონფლიქტოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას - 0388
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. № 1, № 3, № 8, თსუ-ს კორპუსები I, II, VI; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა თინათინ ქაროსანიძემ აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა მოდიფიცირდა და შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტი ჰქონდა დაწესებულებაში, რის შედეგადაც გაიცა რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაშია წარმოდგენილი. ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით საგანი კონფლიქტოლოგია უნდა გამხდარიყო სავალდებულო საგანი და მისი დონე სადოქტორო საფეხურთან შესაბამისობაში უნდა მოსულიყო, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა. საგან სოციოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გასცა, ასევე შეეხო ლექტორთა რაოდენობის შემცირებასა და ლექტორის ასისტირებას. ექსპერტთა ჯგუფი შეეხო ასევე დოქტორანტებისა და ხელმძღვანელის თანაფარდობის საკითხს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაზუსტებულიყო თანაფარდობა. საბოლოოდ, რეკომენდაციათა ნაწილი სრულად იქნა გაზიარებული, ნაწილი კი, ნაწილობრივ.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა კვლევის მეთოდების კურსთან დაკავშირებით გაეკეთებინა კომენტარი. ექსპერტმა განმარტა, რომ ამ საკითხზე ჩატარდა მოკვლევა და დაწესებულებისგან მიიღეს განმარტება, რომ ამ საგანს ჰყავს ათი ლექტორი და თითოეული განსხვავებულად შეასწავლის საკითხს, სტუდენტი კი კვლევის ყველა მეთოდიდან ირჩევს სასურველს. ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლოა საკმარისი არ იყოს ამ მეთოდით მიღებული ცოდნა, ვინაიდან არაა სიღრმისეული და რეკომენდაციის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება ამოარჩევდა რამდენიმე კვლევის მეთოდს და მათ შესთავაზებდა სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი თეონა მატარაძე მიესალმა საბჭოს და მადლობა გადაუხადა. მან განმარტა, რომ კურსი არ არის კლასიკური. დოქტორანტებს წინარე ცოდნა უკვე გააჩნიათ და საგანი მიმართულია კვლევის მეთოდების ცოდნის გაძლიერებისკენ. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში საგნის შეფასებისას იყო შეცდომა: რომ დოქტორანტებს უწევთ ყველა კვლევის მეთოდის გამოყენება ნაშრომზე მუშაობისას, რაც სწორი არ არის, რადგან კურსის მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია შეისწავლოს ყველა მეთოდი, მაგრამ ნაშრომზე მუშაობისას ის იყენებს ერთ-ერთ მათგანს, რომელიც მისთვის ყველაზე რელევანტურია. რეკომენდაციის მიხედვით, საგანი უნდა დაიყოს და რამდენიმე მათგანზე სხვადასხვა არჩევითი საგანი უნდა ჩამოყალიბდეს, რაც ვერ იქნება გამოსადეგი, რადგან ამ გზით სტუდენტი ვერ შეისწავლის ყველა კვლევის მეთოდს და ამავდროულად, არაეფექტურად გადანაწილდება მისი დროისა და ძალისხმევის რესურსი.

ექსპერტმა თინათინ ქაროსანიძემ უპასუხა წარმომადგენელს. მისი განმარტებით, რეკომენდაცია არ გულისხმობს რამდენიმე საგნად დაყოფას, გულისხმობს კვლევის მეთოდების შემცირებას. რეკომენდაცია მომდინარეობს ინტერვიუდან, რომლის მიხედვითაც, გამოკითხვისათვის სტუდენტს თითოეულ კვლევის მეთოდზე უწევს მცირე ნაშრომის ან რეფერატის დაწერა. სწორედ ამ მსჯელობის მიხედვით გაიცა რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსის ამ ფორმით ჩამოყალიბება გამოწვეულია იმით, რომ კვლევის მეთოდების დაყოფა არ უნდა მოხდეს, რადგან ხშირად შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენებით ნაშრომის შექმნა. აქედან გამომდინარე, წარმომადგენლის მოსაზრებით, კურსის გაძლიერებული, ანუ არსებული სახე სტუდენტს აძლევს სრულყოფილ ცოდნას.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ექსპერტს, ნაშრომთა ნახვის შემდეგ, ხომ არ ჰქონია ექსპერტთა ჯგუფს რაიმე შენიშვნა ნაშრომის ხარისხთან დაკავშირებით. ექსპერტმა განაცხადა, რომ არ ყოფილა შენიშვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. საბჭო დაინტერესდა სასწავლო კურსის “კონფლიქტოლოგიის” აქტივობებით, რომელიც დოქტორანტურის საფეხურისთვის საბჭოს წევრის გადმოსახედიდან ჩანდა შეუსაბამო. მომდევნო კითხვა შეეხო სასწავლო კურსს კვლევის მეთოდოლოგია და მისი შეფასების სისტემას, რომლის მიხედვითაც სტუდენტი ფასდება დასწრებაშიც. წარმომადგენელმა რევაზ ჯორბენაძემ მეორე კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რადგანაც ლექცია მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, შეუძლებელია დასწრების გარეშე სწავლების მიზნების მიღწევა. აქვე აღინიშნა, რომ მხოლოდ დასწრება არ წარმოადგენს კრიტერიუმს და მასთან ერთად აქტიურობა მოიაზრება. პირველ კითხვასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ რადგანაც საგანს რამდენიმე ლექტორი ასწავლის, აქტივობები ვერ იქნება კომპლექსური, მაგრამ მოიაზრება წერიითი ნაშრომებიც. საბჭოს წევრ გურანდა ჭელიძის შეკითხვა შეეხო სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების და მობილობის მრავალ შემთხვევას. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: დაინტერესდა თუ არა ინსტიტუცია ამის მიზეზით. მომდევნო შეკითხვა შეეხო არჩევით საგანს, რომელიც ისწავლება როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭო დაინტერესდა ამ საგნის არჩევის შემთხვევაში პროცედურით. წარმომადგენელი გუგული მაღრაძის განცხადებით, სტუდენტებს სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე უჭირთ დამთავრება. გარდა ამისა არსებობს კვლევის დაფინანსების პრობლემები, რომლის სახსრებიც არ არსებობს. წარმომადგენელი შეეხო ნაშრომის დაცვის სირთულეს, რომელიც სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით კომპლექსური და მკაცრია, რაც წარმოადგენს სტუდენტების მიერ ნაშრომის დაცვის ეტაპზე სხვა უნივერსიტეტში მობილობის მიზეზს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თვითონ უნივერსიტეტს შეეჩერებინა სტუდენტისთვის სტატუსი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:44**

დასრულების დრო: 13:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2028), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კონფლიქტოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2028), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- ეკომენდებულია დაიხვეწოს სასწავლო გეგმის რუკა ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და კვლევის კომპონენტების სიზუსტე;
- რეკომენდებულია, კონფლიქტოლოგიის არჩევითი კურსი გახდეს სავალდებულო კონფლიქტოლოგიის სადოქტორო პროგრამის ყველა სტუდენტისთვის და ასევე, განისაზღვროს შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო ლიტერატურა სადოქტორო პროგრამის საფეხურისთვის;
- რეკომენდებულია, „პროფესორის ასისტენტობის“ კურსის კრედიტების რეორგანიზაცია/ხელახლა გაანგარიშება დოქტორანტის მიერ გამოყენებული საათების გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის გადახედვა, რაც ხელმძღვანელობის ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს.

რჩევები:

- სასურველია კურსის „გაფართოებული კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ შეცვლა/რეორგანიზაცია სტუდენტის კვლევითი საქმიანობის შესაბამისად, ასევე,

საშუალება მიეცით სტუდენტებს ჩაანაცვლონ ეს არჩევითი კრედიტები მათ სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებული საკურსო ნაშრომით (მაგ: გაფართოებული სტატისტიკა, თვისებრივი ან რაოდენობრივი მეთოდოლოგია, ან შესაბამისი ენა);

- სასურველია, სტუდენტებმა შეიძინონ რუსული ან სხვა ენების კომპეტენცია მათი კვლევითი პროექტებიდან გამომდინარე.

2. საკითხი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ საბაკალავრო, „ფერწერის“ სამაგისტრო, „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების საბაკალავრო, „გრაფიკა/გრაფიკის“ ხელოვნების სამაგისტროა „თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფერწერა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011, N143
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფერწერა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი ფერწერაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფერწერა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.08.2012, N341
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფერწერა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	თსსა მიერ განსაზღვრული გამოცდები: 1.სპეციალობა (ხატვა) 2.უცხო ენა
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი ფერწერაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თეატრის მხატვრობა (სცენოგრაფიის ხელოვნება)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.08.2012, N338
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	თეატრის მხატვრობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	თსსა მიერ განსაზღვრული გამოცდები: 1. სპეციალობა (ხატვა) 2. უცხო ენა
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი თეატრის მხატვრობაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	თსსა მიერ განსაზღვრული გამოცდები: 1.სპეციალობა (ხატვა) 2.უცხო ენა
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი გრაფიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ლაღანიძემ.

თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი იორგ ობერგფელი მიესალმა საბჭოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადად, პროგრამებმა დადებითი შთაბეჭდილება დატოვა და გაცემული რეკომენდაციებიც თითქმის სრულიად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. ძირითადი აქცენტი გაკეთდა მატერიალური რესურსის სიმცირესა და სწავლის შედეგებისა და მიზნების საკითხებზე. ასევე ექსპერტთა ჯგუფი შეეხო ქართული ლიტერატურის რაოდენობის საკითხს. ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული წინა აკრედიტაციის შემდეგ და მიმდინარე პროცესშიც რეკომენდაციათა დიდი ნაწილის გაზიარება მოხდა დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

წარმომადგენელი მეგი წითლიძე მიესალმა საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციათა უმეტესობა დაწესებულების მხრიდან გაზიარებულია, ზოგიერთი გათვალისწინებულია, ნაწილი კი განხორციელებულ იქნება 2023-24 სასწავლო წლის დასრულებამდე. წარმომადგენელმა ისაუბრა სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულებზე არსებული რეკომენდაციის შესახებ. აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების რეკომენდაციამდე არსებული მდგომარეობა მომდინარეობდა

საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სხვა უნივერსიტეტების მაგალითის საფუძველზე და პრაქტიკა მათგან იქნა გაზიარებული. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაციის პირობები. წარმომადგენელმა თამარ მინაშვილმა ისაუბრა ქართული ლიტერატურის სიმცირის შესახებ. მან განმარტა, რომ დროთა განმავლობაში ქართული ლიტერატურა იზრდება, ვინაიდან ითარგმნება ლიტერატურა ქართულ ენაზე. მან აღნიშნა, მიმდინარედაც ითარგმნება ლიტერატურა და მხოლოდ დროის საკითხია ქართული ლიტერატურის მიერ ადგილის დამკვიდრება. წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუციას ესმის ქართული ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ თარგმნითი სამუშაოები ხელს შეუწყობს სწავლებას როგორც აკადემიაში, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მან ასევე ისაუბრა მომდევნო რეკომენდაციაზე, არჩევით კურსებზე ინფორმირებულობის შესახებ. წარმომადგენლის განმარტებით რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა და აკადემიის ვებგვერდზე განთავსდა არჩევითი კურსების დეტალური ჩამონათვალი. ამ ჩამონათვალის განთავსება, წარმომადგენლის განმარტებით, სწორედ სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე. აღინიშნა, რომ ჩამონათვალი კურსების დამატებასთან ერთად განახლებადია. წარმომადგენელი შეეხო ადამიანური რესურსების გაზრდასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს რეკომენდაციას და უახლოეს მომავალში იგეგმება კონკურსის გამოცხადება ახალი კადრებისთვის. წარმომადგენელმა მეტი წითლიძემ სამეცნიერო შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების გაზრდის შესახებ გაცემულ რეკომენდაციაზე ისაუბრა. მან განმარტა, რომ დაფინანსების გაზრდა დამტკიცებულია და შესაბამისად, რეკომენდაცია სრულყოფილად შესრულება ახლო მომავალში. წარმომადგენელმა ისაუბრა მომდევნო რეკომენდაციაზე, სამეცნიერო აქტივობების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. შეფასების ჭრილში დაწესებულება მოიწვევს გარე დამკვირვებელს, რაც ხელს შეუწყობს შეფასების კრიტერიუმების გამრავალფეროვნებას და რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულებას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დანარჩენ რეკომენდაციებსაც ითვალისწინებს დაწესებულება და მათი შესრულების პროცესი მიმდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს ნაშრომის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით, უნდა ჰქონდეს თუ არა ხელმძღვანელს დოქტორის ხარისხი. ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ განმარტა, რომ ხელმძღვანელის სამუშაო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მოითხოვს დოქტორის ხარისხს და საკმარისია პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება. საბჭოს წევრმა თინათინ ჭაბუკიანი შეკითხვები დაუსვა ექსპერტებს 1.4 სტანდარტში მითითებულ ვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ შენიშვნებზე, კერძოდ, საბჭო დაინტერესდა აღნიშნული შენიშვნები რჩევის სახითაა თუ რეკომენდაციის. შემდეგი შეკითხვაც იმავე პროგრამის შესახებ 1.1 სტანდარტს შეეხო, საბჭოს წევრის შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: ხომ არ ჯობდა, რომ აღნიშნული რჩევა ყოფილიყო რეკომენდაციის სახით. ექსპერტმა თამთა თურმანიძემ უპასუხა შეკითხვებს, სტანდარტ 1.4-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნული შენიშვნები რჩევის სახითაა, ხოლო 1.1 სტანდარტში მოცემულ რჩევასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ მხოლოდ რჩევის ფარგლებში დარჩენა საკითხთან უფრო შესაბამისი იქნებოდა. საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, მან აღნიშნა, რომ რამდენიმე პროგრამასთან დაკავშირებით არსებობდა რეკომენდაცია, რომ კრედიტები მინიჭებოდა კლასგარეშე აქტივობებს. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: თუ რას მოიცავდა აღნიშნული აქტივობები. მომდევნო კითხვა 4.5 სტანდარტს შეეხო თეატრის მხატვრობის ჭრილში. საბჭო დაინტერესდა, თუ რატომ შეიძლებოდა შეჰქმნოდა პროგრამას უარყოფითი ფინანსური ბალანსი, როდესაც დაფინანსება ხდება მიზნობრიობიდან გამომდინარე. ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ განმარტება გააკეთა 4.5 სტანდარტთან დაკავშირებით, რომ დასკვნას ჰქონდა თარგმანთან დაკავშირებული პრობლემა. რეკომენდაციის საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი: რომ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის ყოფილიყო დაცული

ბალანსი და აღარ ყოფილიყო მხოლოდ ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი. მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ არაერთ აქტივობაში, ვორქშოპებში, გამოფენებში და სხვ, მაგრამ აქცენტი გაკეთდა აკადემიის პრაქტიკაზე, რომ სტუდენტები ასისტირებას უწევენ რეჟისორებს, თეატრის პერსონალს, რასაც კრედიტები არ ჰქონდა მინიჭებული. ექსპერტმა თამთა თურმანიძემ განავრცო, რომ ეს შესაძლებლობა უნიკალურია და დიდ პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას აძლევს სტუდენტებს, ამიტომ უკეთესი იქნება, თუ სილაბუსში განისაზღვრება კრედიტები თუნდაც ჩაშენებული პრაქტიკის სახით. აკადემიის მიმართ ერმილე მესხიას შეკითხვები 4.3 სტანდარტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების შესახებ. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, საკვალიფიკაციო პროექტებს ეხებოდა თუ არა რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ეხებოდა საკვალიფიკაციო პროექტებს. მომდევნო შეკითხვით საბჭო დაინტერესდა, სამომავლოდ, კულტურის მენეჯმენტის საგანი იქნება თუ არა განსახილველ პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა მეგი წითლიძემ განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურზე აღნიშნული საგანი იქნება პროგრამაში განსხვავებული სახით. დამატებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემია თეატრალურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გეგმავს სცენოგრაფიისა და ანიმაციის პროექტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო:14:39

დასრულებისდრო: 15:07

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუდენტების ინფორმირება არჩევითი კურსების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზარდა;
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.
- რეკომენდებულია აუდიტორიების ტექნიკური დამხმარე საშუალებები მომარაგება, რათა სტუდენტს ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა მასალებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, სამუშაო მასალების დროულად მიწოდება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, არამედ სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც.
- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება

რჩევები:

- მიზანშეწონილია, პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე აისახოს საგნების „ვექტორული გრაფიკა“ და „რასტრული გრაფიკა“ შესაძლებლობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს შექმნას ნამუშევარი თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სასურველია მეტი ყურადღება გამახვილდეს პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სხვადასხვა უნარების გამოყენების შესაძლებლობებზე;
- ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, სასურველია მეტი თანხა გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით. ბიუჯეტის დოკუმენტაციის მიხედვით ერთ სტუდენტზე მხოლოდ 8,5 ლარია დახარჯული;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და გამოიყენოს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რესურსი.
- სასურველია კონტაქტის გაფართოება დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.
- სასურველია, უფრო მეტი პრაქტიკული პროექტები, მაგალითად, პოსტერების კონკურსები და გამოფენები აკადემიის გარეთ.
- მიზანშეწონილია, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ სტუდენტებს მატერიალური რესურსების კუთხით.
- დიპლომის დაცვისას, სასურველია, გაიზარდოს გარე შემფასებელთა რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა პირებმა ნახონ და შეაფასონ სტუდენტების მუშაობა.

- სასურველია, სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, უფრო წარმომადგენლობითი გახდეს, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევა.
- მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.
- სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.
- სასურველია, ბიუჯეტი გამოიყოს პრაქტიკისა და სავსე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის.
- სასურველია, მოწვეული ლექტორები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირების პროცესში.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აკონტროლოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების მიღება.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიღონ კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისათვის, თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში.
- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფერწერის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას უხელმძღვანელოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურმა პერსონალმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზარდა.
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.
- რეკომენდებულია აუდიტორიების ტექნიკური დამხმარე საშუალებებით მომარაგება, რათა სტუდენტს ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა მასალებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, სამუშაო მასალების დროულად მიწოდება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით, არამედ, სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც.
- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება

რჩევები:

- სასურველია მეტი კრედიტის მინიჭება ხელოვნების ისტორიისთვის და ნაკლები დეტალური კომპონენტებისთვის, მაგ. სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიციისთვის (თითოეული 5 ECTS);
- სასურველია მოეწყოს მეტი გამოფენა;
- სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად შესაბამისობის მიღწევის მიზნით, მიზანშეწონილია პრაქტიკული ნაწილის შესახებ ესეს დაწერა აკადემიური სტანდარტების დაცვით;
- ბიუჯეტში არსებული ნამატის გათვალისწინებით, სასურველია მეტი თანხა გამოიყოს სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო მასალებით. ბიუჯეტის დოკუმენტაციის მიხედვით ერთ სტუდენტზე დახარჯულია მხოლოდ 44,8 ლარი;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და გამოიყენოს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რესურსი.
- სასურველია მაგისტრატურაში სპეციალობის მისაღები გამოცდის შინაარსი მითითებული უნდა იყოს აკადემიის ვებ გვერდზე.
- სასურველია კონტაქტის გაფართოება დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.

- სასურველია, უფრო მეტი პრაქტიკული პროექტები, მაგალითად, პოსტერების კონკურსები და გამოფენები აკადემიის გარეთ.
- მიზანშეწონილია, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ სტუდენტებს მატერიალური რესურსების კუთხით.
- დიპლომის დაცვისას, სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა პირებმა ნახონ და შეაფასონ სტუდენტების მუშაობა.
- სასურველია, სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, უფრო წარმომადგენლობითი გახდეს, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევა.
- მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.
- სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა მაღალი ხარისხის მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.
- სასურველია, ბიუჯეტი გამოიყოს პრაქტიკისა და საველე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევისათვის.
- მიზანშეწონილია მოწვეული ლექტორები, უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირების პროცესში.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აკონტროლოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების მიღება.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიღონ კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისათვის, თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში.
- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო

სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, რეკომენდირებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზარდა.
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდირებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.
- რეკომენდებულია აუდიტორიების ტექნიკური დამხმარე საშუალებები მომარაგება, რათა სტუდენტს ჰქონდეს მაქსიმალური წვდომა მასალებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. გარდა ამისა, სამუშაო მასალების დროულად მიწოდება, რომელსაც ისინი გამოიყენებენ სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, ჩაატაროს სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვები არა მხოლოდ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. სტუდენტებმა ასევე პერიოდულად უნდა შეაფასონ უნივერსიტეტის მომსახურებებიც.
- რეკომენდებულია სტუდენტების გამოკითხვის თემატიკის მასშტაბის კიდევ უფრო გაზრდა და დივერსიფიკაცია, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასებას, არამედ ზოგად საუნივერსიტეტო საკითხებსაც. ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი და აქტიურად ხდებოდეს შედეგების გაანალიზება

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის სახელწოდება უფრო კონკრეტულად მიუთითებდეს მის მიზანზე, რომ მოამზადოს თეატრისა და კინოს ხელოვანები;
- სასურველია, ნაკლები კრედიტები მიენიჭოს სპეციალიზებულ საგნებს, როგორებიცაა მაგალითად, ფერების ლოგიკური დაჯგუფება/ცივი და თბილი ფერები ფერი/პოლარულობა - კონტრასტი
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სტატუსი და კინოსთან დაკავშირებული ზოგიერთი არჩევითი საგანი განისაზღვროს სავალდებულო საგნად. სასურველია, კინემატოგრაფია უფრო სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში და არა მხოლოდ არჩევითი კურსების სახით;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაიზიაროს საერთაშორისო კარგი პრაქტიკა პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით და გამოიყენოს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რესურსი.

- სასურველია კონტაქტის გაფართოება დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან.
- სასურველია, იყოს უფრო მეტი პრაქტიკული პროექტები, მაგალითად, პოსტერების კონკურსები და გამოფენები აკადემიის გარეთ.
- მიზანშეწონილია, მეტი მხარდაჭერა შესთავაზონ სტუდენტებს მატერიალური რესურსების კუთხით.
- დიპლომის დაცვისას სასურველია გაიზარდოს გარე შემფასებელთა რაოდენობა, რათა უფრო კომპეტენტურმა პირებმა ნახონ და შეაფასონ სტუდენტების მუშაობა.
- სასურველია, სადიპლომო ნაშრომის წერილობითი ნაწილი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე, უფრო წარმომადგენლობითი გახდეს, სადაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდება შესაბამისი სამეცნიერო კვლევა.
- მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.
- სასურველია, სტუდენტებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის მასალებზე, რომელთა გამოყენება შეიძლება მრავალჯერადად.
- სასურველია, ბიუჯეტი გამოიყოს პრაქტიკისა და საველე სამუშაოებისათვის, გარე ლექციებისა და სამეცნიერო/კვლევებისათვის.
- სასურველია, მოწვეული ლექტორები, უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამისა და სილაბუსების მოდიფიცირების პროცესში.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა აკონტროლოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ შეფასების შედეგების მიღება.
- მიზანშეწონილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეიმუშაოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიიღონ კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისათვის, თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში.
- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „თეატრის მხატვრობის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „თეატრის მხატვრობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები: რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში მონაწილეობა მიიღოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურმა პერსონალმა;
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის, რეკომენდებულია, შექმნას დარგობრივი სამიზნე ნიშნულები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წევრებმა პროცესში უნდა ჩართონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- რეკომენდებულია ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის გაზარდა;
- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების ჩართვა.
